განმარტებითი ბარათი
„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა იმ საგანგაშო მოვლენებმა, რაც დაკავშირებული იყო პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი მასალების უკანონო მოპოვება, შენახვა, გავრცელებასთან.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, კერძოდ 157-ე მუხლი, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფისათვის, ისევე როგორც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისათვის, ითვალისწინებს მსუბუქ სასჯელს, რაც ვერ ახდენს სათანადო პრევენციას.

ვინაიდან, პირადი ცხოვრების საიდუმლოება წარმოადგენს განსაკუთრებული დაცვის სფეროს, ამდენად აუცილებელია მისი ხელყოფის მაქსიმალური პრევენცია და ამ მიზნით ამ დანაშაულის ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის ზომის გამკაცრება, რაც იქნება გამაფრთხილებელი გზავნილი მათთვის, ვინც შესაძლოა გეგმავდეს მსგავსი უკანონო ქმედებების განხორციელებას

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია პირადი ცხოვრების ხელყოფის მაქსიმალური პრევენცია, ამ ქმედების ჩადენისათვის დადგენილი სასჯელის ზომის გამკაცრების გზით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლიდან გაიმიჯნა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, შესაბამისად 157-ე მუხლის სათაურიდან, ასევე პირველი და მე-2 ნაწილების ტექსტიდან ამოღებული იქნება სიტყვები „პირადი ან ოჯახური საიდუმლოს“ და აღნიშნული მუხლით დასჯადი იქნება მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა.

ამასთან, კოდექსს ემატება 157^1-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის დასჯადობას და წესდება შედარებით მკაცრი სასჯელები, ვიდრე ეს ამ ქმედების ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქციით არის გათვალისწინებული. ეს მუხლი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან ზიანს. ამ მუხლით ქმედების დაკვალიფიცირებისთვის არ იქნება მითითება ზიანის მიყენების ფაქტზე, რადგან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამგვარი ხელყოფა უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.გ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს, ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ექსპერტები ჩართული არ ყოფილან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი